სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61447079417417

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170222056

რეგისტრაციის თარიღი

06.03.2017 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

ორი ათას ჩვიდმეტი წლის **ექვსს** მარტს მე, ხათუნა კალანდარიშვილს ნოტარიუსს ქ. ბათუმში,რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნიკე ფორდანიას ქ#12, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა _ ბატონმა **ხვიჩა პაპუნიძემ** (დაბადებული 31.03.1971 წ., რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქუჩა №149-151-153/29-31, ბინა №1, პირადი №61006011559).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ხვიჩა პაპუნიძემ, მან განაცხადა, რომ:

ა) არის შპს „ბი ემ სი გორგიას" (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) როგორც შპს „ბი ემ სი გორგიას" დირექტორს, სურს, შპს „ბი ემ სი გორგიას" სპეციალური წარმომადგენლის (რწმუნებულის) უფლებამოსილება მიანიჭოს გია გორგოშაძეს (დაბადებული 29.12.1970 წ., რეგისტრირებული მისამართი: ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქუჩა №2, პირადი №61003000277).

ხვიჩა პაპუნიძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება ჩვენს მიერ.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16039067, 14/03/2016 12:36:52);

ბ) შპს „ბი ემ სი გორგიას" წესდება (დამოწმებული 03.06.2010 წ. ნოტარიუს ხ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100531904.

გ) შპს „ბი ემ სი გორგიას" პარტნიორის გადაწყვეტილება (25.03.2013) (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 26.03.2013 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №299)

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971 წ., რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქუჩა №149-151-153/29-31, ბინა №1, პირადი №61006011559), როგორც შპს **„ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) დირექტორმა, გია გორგოშაძეს (დაბადებული 29.12.1970 წ., რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქუჩა №2, პირადი №61003000277), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შპს **„ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) (რომელიც შემდგომში წოდებულია როგორც „მარწმუნებელი") სპეციალური წარმომადგენლის/რწმუნებულის უფლებამოსილება შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსის შესახებ

1. რწმუნებული უფლებამოსილია:

ა) **შეასრულოს შპს „ბი ემ სი გორგიას"** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) დირექტორის სრული უფლებამოსილება მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით.

2. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმების დაცვით:

ა) დადოს ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგება, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ), უძრავ-მოძრავ ქონებასთან (ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ფართები, მიწის ნაკვეთები და სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები) დაკავშირებული ნებისმიერი სახისა და შინაარსის _ გასხვისების, შეძენის, ვალდებულებებით დატვირთვის, იჯარის/ქირავნობის, აღნაგობის, უზუფრუქტის, სერვიტუტის, გაცვლისა და სხვა ნებისმიერი სახისა და შინაარსის გარიგებები ნებისმიერი ფორმით (კერძო და საჯარო აქტებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით), ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მათში, გააუქმოს/შეწყვიტოს მომავალის ისინი, განსაზღვროს ყველა გარიგების შინაარსი, შეასრულოს გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და ისარგებლოს გარიგებების საფუძველზე წარმოშობილი უფლებებით);

ბ) შეასრულოს გადასახადის გადამხდელის უფლება-მოვალეობები, განაბაჟოს მარწმუნებლის კუთვნილი ნებისმიერი სახის საქონელი (მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებები, სხვა ნებისმიერი სახისა და ოდენობის საქონელი) და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია;

გ) რეგისტრაციას დაექვემდებარებული უძრავ-მოძრავი ნივთები (ავტოსატრანსპორტო საშუალებები, უძრავი ქონება და სხვა) მარწმუნებლის საკუთრებად აღრიცხოს მარეგისტრირებელ ორგანოში, მარწმუნებლის ყველა სახის უფლება და ვალდებულება დაარეგისტრიროს მარეგისტრირებელ ორგანოში; ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია;

დ) მარწმუნებლის სახელითა და მარწმუნებლისათვის საქართველოს ნებისმიერ რეზიდენტ ბანკში, გახსნას/დახუროს ნებისმიერი სახის საბანკო ანგარიში (საანგარიშსწორებო, სადეპოზიტო და სხვა), **უზრუნველყოს მარწმუნებლისათვის ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობა და ამ მიზნით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ: დოკუმენტის დამზადება, პაროლების/პასუხების მიღება, საბანკო აქტებით დადგენილი ყველა სხვა საჭირო მოქმედების/პროცედურის შესრულება)**, მართოს/განკარგოს ეს ანგარიშები და ის ანგარიშები, რომელიც/რომლებიც გახსნილია ნოტარიუსის აქტის დამოწმებამდე, შეასრულოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია (თანხის გადარიცხვა, თანხის შეტანა და გამოტანა ნაღდი სახით და სხვა), მიუხედავად ანგარიშისა და ვალუტის სახისა, მიიღოს ნებისმიერი სახისა და

ხვიჩა პაპუნიძე

შინაარსის ინფორმაცია ამ საბანკო ანგარიშების შესახებ (ამონაწერები და სხვა), შეასრულოს დოკუმენტალური ოპერაციები (საბანკო გარანტია, აკრედიტივი, ინკასო და სხვა), წადოს დოკუმენტალურ ოპერაციებთან დაკავშირებული გარიგებები/ხელშეკრულებები, უზრუნველყოფის (გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა...) ხელშეკრულებები/გარიგებები, განაცხადები, შეიტანოს მათში ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება, დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი პირობები და შინაარსი, აგრეთვე დოკუმენტალური ოპერაციების წარმოების მიზნით განკარგოს მარწმუნებლის ფულადი სახსრები.

ე) მარწმუნებელი სრული უფლებამოსილებით წარმოადგინოს სასამართლოში (საქმის მორიგებით დასრულების, სასამართლოს ყველა აქტის გასაჩივრებისა და საქმის ზემდგომ ინსტანციაში საქმის წარმოების, სარჩელის აღიარების/ცნობის, სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრის უფლების, სარჩელის გამოთხოვის/სარჩელზე უარის თქმის, საქმის მორიგებით დასრულების და ნებისმიერი საპროცესო უფლების, აგრეთვე საღსრულებო დაწესებულებაში შეუზღუდავი უფლებამოსილებით (საღსრულებო დაწესებულებაში საქმის შეუზღუდავად წარმოების უფლებით);

ვ) შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება და განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რაც აქ არ არის კონკრეტულად მითითებული, მაგრამ, რისი შესრულების უფლებაც/ვალდებულებაც აქვს შპს „ბი ემ სი გორგიას" (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო №245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10) დირექტორს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც აქ არ არის მითითებული, მაგრამ რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 2. უფლებამოსილების გადანდობის შესახებ

1. რწმუნებულს უფლება აქვს, უფლებამოსილება სრულად ან ნაწილობრივი გადასცეს მესამე პირს.

მუხლი 3. ინფორმირების ვალდებულების შესახებ

1. რწმუნებული ვალდებულია:

ა) მარწმუნებელს პერიოდულად მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

ბ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადის შესახებ

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

2. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ნებისმიერ დროს მარწმუნებლის მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რწმუნებულს.

მუხლი 5. აქტის ძალმოსილების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან."

დანართები:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16039067, 14/03/2016 12:36:52);

ბ) შპს „ბი ემ სი გორგიას" წესდება (დამოწმებული 03.06.2010 წ. ნოტარიუს ბ. კალანდარიშვილის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100531904, ინახება ჩემს სანოტარო არქივში);

გ) შპს „ბი ემ სი გორგიას" პარტნიორის გადაწყვეტილება (25.03.2013) (ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 26.03.2013 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №299 ინახება ჩემს სანოტარო არქივში).

აქტის ეგზემპლარები

წინამდებარე აქტი შედგენილია 4 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მარწმუნებელს.

სანოტარო მომსახურების საზღაური (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31, 39 მუხლებისა)დღგ თანახმად სსკ 169-ე მუხლისა:

ა) ნოტარიუსის საზღაური: 10 ლარი+დღგ 1,80ლარი

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

მე, ნოტარიუსმა, მარწმუნებლის წარმომადგენელს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მარწმუნებელი
შპს „ბი ემ სი გორგია"
(წარმომადგენელი _ დირექტორი ხვიჩა პაპუნიძე)

ხელმოწერილია .....